



კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების ეფექტიანობა და მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოში

დოკუმენტი მომზადებულია
კონფლიქტების და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ,
დეკემბერი, 2019 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის (Global Partnership for the Prevention of Armed Conflict (GPPAC) (www.gppac.net) 2019 წლის კავკასიური პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს რეგიონში კონფლიქტების პრევენციას და ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩართულობას.

2019 წლის პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა სამხრეთ კავკასიაში GPPAC-ს რეგიონული წარმომადგენლის კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) (www.iccn.ge) მიერ, კონცენტრირებული იყო კონფლიქტების პრევენციის მექანიზმებისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება-გაუმჯობესების ხელშეწყობაზე გაერო-ს 2015 წლის დოკუმენტის, „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, კონტექსტში. ეს დღის წესრიგი გამყარებულ იქნა 2016 წელს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებით მშვიდობის მშენებლობასა და მდგრად მშვიდობაზე (S/RES/2282; A/RES/70/262). კონფლიქტის პრევენციის ინსტრუმენტებზე ჩატარებული მონიტორინგი

და კვლევა ემსახურება გაერო-ს დღის წესრიგის #16 მიზნის შესრულებას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი და ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია კონფლიქტების პრევენციის გარეშე.

ჩვენ მოვამზადეთ კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების ამსახველი დოკუმენტი. იგი ეფუძნება პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სამაგიდო კვლევას და მის საფუძველზე შექმნილ პოლიტიკის დოკუმენტს,¹ სამოქალაქო სექტორის სამშვიდობო საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, მათ შორის, სფეროს ექსპერტების მიერ შეხვედრებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, სამშვიდობო ჟურნალისტიკის წარმომადგენელთა პუბლიკაციებს, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან, შეხვედრების დროს გაზიარებულ ინფორმაციას.

მოცემულ დოკუმენტში გაანაზიარებულია კონფლიქტის პრევენციის სტრატეგიის აუცილებლობა და საქართველოში კონფლიქტის პრევენციის ინსტრუმენტების ეფექტიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც, საუბარია კონფლიქტის პრევენციაზე, მოცემულ დოკუმენტში იგულისხმება ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია.

I. კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების გამოყენების მონიტორინგი

საქართველოსთვის კონფლიქტის პრევენციის სტრატეგიის აუცილებლობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ქვეყნის ტერიტორიაზე ორი სეცესირებული რეგიონის არსებობით; უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციის დაბალი დონით; ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებითა და პოლიტიკური რადიკალიზაციით. ამას გარდა, ჩვენს უშუალო მეზობლებს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უკვე ათწლეულებია არსებობს გადაუჭრელი კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საქართველოზეც, როგორც შიდა, ისე საგარე პოლიტიკის კუთხით.

ბოლო პერიოდის კრიზისებმა, მათ შორის, პანკისის ხეობის, დავით გარეჯისა თუ რუსი დეკუტატის ვიზიტის ირგვლივ შექმნილმა დაძაბულობამ, ნათლად აჩვენა, რომ საჭიროა არა მხოლოდ არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე ფიქრი, არამეც პრევენციის მიმართულებით მუშაობა, რათა ქვეყნის შიგნით არ გაჩნდეს ახალი კონფლიქტების გაღვივების საფრთხე.

იმისათვის, რომ არ მოხდეს არსებული კონფლიქტების ესკალაცია და თავიდან ავიცილოთ ახალი კონფლიქტოგენური კერების გაჩენა, აუცილებელია, რომ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს გაცნობიერებული ჰქონდეთ კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების არსებობის მნიშვნელობა, დანერგული ჰქონდეთ ეს ინსტრუმენტები თავიანთი საქმიანობის განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში და, რაც მთავარია, აქტიურად იყენებდნენ მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში.

¹ პოლიტიკის დოკუმენტი: „საქართველოში კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ“ /ავტორი ანა დვალი/ ICCN, 2019.

ICCN-ის მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ კონფლიქტების პრევენციის, როგორც მიდგომის და მიზნის, წარმოჩენა ნორმატიულ აქტებში, გაცილებით უკეთესის სურვილს ტოვებს, გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რაც ქვეყანაში არსებობს გაყინულ კონფლიქტებთან (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) მიმართებაში.

არსებული რეალობები აჩვენებს, რომ კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტები და ამ მხრივ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკა ნაკლებად ან არასრულად გამოიყენება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ასევე, შეზღუდულია ამ ინსტრუმენტების გამოყენების არეალი სამოქალაქო სექტორისათვის, რომელიც ნაკლებად არის ჩართული კონფლიქტების პრევენციის პროცესში და მისი როლი, ფაქტიურად, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ინფორმირების დონეზეა დაყვანილი.

კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტები, რომლებიც ქვემდებარე ანგარიშშია ასახული, არის სარეკომენდაციო ხასიათის და მოწოდებულია, უკეთ უზრუნველყოს კონფლიქტების თავიდან აცილება და ხელი შეუწყოს მშვიდობიანი გარემოს დამკვიდრებას, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს მდგრად განვითარებას, გაერო-ს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებას, უპირველეს ყოვლისა კი, #16 მიზნის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს მშვიდობიანი, ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობას მისი მდგრადი განვითარებისათვის და ასევე ეფექტური, ინკლუზიური და ანგარიშვალდებული ინსტიტუციების შექმნას ყველა დონეზე.

II. მდგრად განვითარებასთან და კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო, ნორმატიული დოკუმენტები და მაკოორდინირებელი სტრუქტურები

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მონიტორინგის ამოცანა არ ყოფილა კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემოსა და ნორმატიული-მარეგულირებელი დოკუმენტების ჩაღრმავებული კვლევა და სამართლებრივი ანალიზი. ამოცანა მდგომარეობდა, დაგვედგინა, თუ რამდენად იყო ასახული ამ დოკუმენტებში კონფლიქტების პრევენცია, როგორც სამშვიდობო ინსტრუმენტი.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს საკანონმდებლო გარემო ფორმალურად ქმნის კონფლიქტების პრევენციის ხელშეწყობს გარემოს. ეს განსაკუთრებით ეხება უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რადგანაც, როგორც ქვეყნის 30-წლიანი გამოცდილება აჩვენებს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, სწორედ უმცირესობებთან დაკავშირებით წარმოიქმნა კონფლიქტები, რომლებიც შემდგომ გადაიზარდა ძალადობრივ და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ასე მაგალითად, კონსტიტუციაში ჩადებულია მექანიზმები (მაგ. მუხლები 14, 38, 85), რომლებიც ხელს უწყობდნენ კონფლიქტების პრევენციას.

საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული არიან კონფლიქტების პრევენციასთან, საკუთარი წვლილი შეაქვთ კონფლიქტების პრევენციაში.²

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა³ წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო

² https://smr.gov.ge/uploads/prev/doc25_6a7b68c1.pdf

პოლიტიკის ძირითად დოკუმენტს. სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზნები - თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება, ასევე, ჩამოთვლილი ღონისძიებები, ემსახურება კონფლიქტების პრევენციას. კერძოდ, ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების (რომლებიც კონკრეტულ გარემოებებში შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც კონფლიქტოგენური სიტუაციის აქტორები) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინტეგრაციას.

სამოქმედო გეგმაში უმცირესობების საკითხები განხილულია არა იმდენად უსაფრთხოების პრიზმაში, არამედ უფრო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. თუმცა, რატომ არ შეიძლება იქნას დაცული გონივრული ბალანსი ამ ორ კომპონენტს შორის, გაუგებარია, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოება და ადამიანის უსაფრთხოება (Human Security) მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დატვირთვას ატარებენ.

სამოქმედო გეგმაში არ არის გამოყენებული ტერმინი „ადამიანის უსაფრთხოება“ (Human Security), რომლის დაცვა და უზრუნველყოფა წამოადგენს კონფლიქტების პრევენციისადმი თანამედროვე მიდგომების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. სამოქმედო გეგმაში თვალშისაცემია ღონისძიებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასების მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორების სიჭარბე და თვისებრივი ინდიკატორების პრაქტიკულად არარსებობა, რაც ართულებს ღონისძიებების ეფექტიანობისა და ზეგავლენის შეფასებას საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და მათ ფორმალურ ხასიათს ანიჭებს.

ინტერესს იმსახურებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა⁴ საქართველოს შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველო ინარჩუნებს მოქნილ და ღია მიდგომას ჩარჩო კონვენციის გამოყენების სფეროსთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნულია, მონაცემთა უფრო ეფექტიანი შეგროვების აუცილებლობა ეროვნული უმცირესობებისთვის ინკლუზიური პოლიტიკის შემდგომი გაძლიერებისათვის, უმცირესობებში ქართული საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდის გასაძლიერებლად. დოკუმენტში დაფიქსირებულია საგანგაშო ტენდენციებიც, რომლებიც, ჩვენი აზრით, კონფლიქტოგენური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. კერძოდ, რელიგიური უმცირესობების სტრუქტურული დისკრიმინაცია დაფინანსებისა და სალოცავი ადგილების ხელმისაწვდომობის კუთხით, ასევე, უსაფრთხოების საკითხის პარალელურად, „ერის მშენებლობის“ კონტექსტში, გარკვეული უმცირესობების მიმართ ნდობის ნაკლებობა. ამ და სხვა ანალოგიურდოკუმენტთა (www.smr.gov.ge) მიგნებები და რეკომენდაციები მკაფიოდ მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობების საკითხი კვლავ რჩება გამოწვევად კონფლიქტების პრევენციისა და მდგრადი განვითარების გზაზე, განსაკუთრებით ინკლუზიური საზოგადოების შექმნის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე დასკვნას ახლავს საქართველოს მთავრობის კომენტარები.⁵

³ https://smr.gov.ge/uploads/prev/20152020_b9886b45.pdf

⁴ https://smr.gov.ge/uploads/prev/3rd_Op_Geo_05dc9050.pdf

⁵ https://smr.gov.ge/uploads/prev/GoG_Commen_72374c1f.pdf

2008 წლის შემდეგ კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხში **საგარეო საქმეთა სამინისტროს** როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს ქართულ დელეგაციას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში და უწყება ახორციელებს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას. საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალადობრივი ესკალაციის თავიდან არიდების ძირითად ინსტრუმენტებად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერებას, მედიაციასა და არსებული ფორმატების (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და IPRM-ის) ეფექტიანობის გაზრდას მოიაზრებს. აღნიშნული მექანიზმები მოკლევადიანი ინტერვენციის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში⁶, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტების პრევენციას საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი. **ამოცანა 1.1:** ხაზგასმით მოიხსენიებს „**კონფლიქტის ესკალაციის პრევენციას და ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას**“ თუმცა, რამდენად ეფექტიანად ხდება პრევენციის კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენება, ინფორმაცია საკმაოდ მწირია შეფასებისათვის. ამოცანაში საუბარია უკვე არსებული კონფლიქტის ესკალაციის პრევენციაზე.

რაც შეეხება კონფლიქტის პრევენციის დამატებით მექანიზმებს, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ, 2009 წელს ჟენევის მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM). ხოლო 2012 წლის 15 დეკემბრიდან ჩამოყალიბდა რუსეთისა და საქართველოს პრემიერ მინისტრების სპეციალურ წარმომადგენელთა მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც წარმომადგენელთა სახელების მიხედვით ცნობილია, როგორც „აბაშიძე-კარასინის“ ფორმატი. ქართულ საზოგადოებაში ამ ფორმატის მიმართ წინააღმდეგობრივი და ხშირად ნეგატიური დამოკიდებულება არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ემოციურმა დამოკიდებულებამ, პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, ცალკეულ დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებმა, მოახდინონ კონფლიქტის პრევენციის, თუნდაც იძულებით მიღებული ინსტრუმენტის ნიველირება და ამით ნებით თუ უნებლიეთ, ხელი შეეწყოს კონფლიქტის რეესკალაციას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა ფორმატმა, შეძლო რუსეთ-საქართველოს საკმაოდ დამაბული ურთიერთობის შედარებით მშვიდ მდგომარეობაში გადაყვანა და მორიგი მასშტაბური კონფლიქტის პრევენცია. ამას მოწმობს კონკრეტული ხელშესახები და გაზომვადი შედეგები, რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობის განუხრელი ზრდა, ჰუმანიტარული, კულტურული და ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რიგით მოქალაქეებს შორის კონტაქტების აღდგენა და ა.შ.⁷

ჩვენი მიზანი არ ყოფილა ამ ფორმატების ეფექტიანობის შეფასების ჩაღრმავებული მონიტორინგი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, როგორც კონფლიქტების პრევენციის დამატებითი ინსტრუმენტები, მიუხედავად მათი ეფექტიანობის მიმართ არსებული პრეტენზიებისა, ასრულებენ თავიანთ როლს, რაც დასტურდება გაზომვადი ინდიკატორებით.

სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულნი არიან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM)

⁶ 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.

<http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

⁷ <https://www.geostat.ge/ka>

შეხვედრებში, რომელიც მიმართულია ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ინციდენტების პრევენციის, მათი დარეგულირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებისკენ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წამომადგენელი, ასევე, მონაწილეობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პირველ სამუშაო ჯგუფში, სადაც განიხილება უსაფრთხოების საკითხები. ასევე, უწყების ჩართულობით მოქმედებს IPRM-ისა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში შექმნილი ე.წ „ცხელი ხაზი“, რომელიც მუდმივი კავშირის ფორმას წარმოადგენს სუს-ის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებს შორის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ინციდენტების აღკვეთისა და განმუხტვის საკითხებში.

კონფლიქტების პრევენცია მშვიდობიანი გარემოს უცილობელი შემადგენელია და სწორედ მშვიდობიანი გარემოს შექმნაა უცილობელი პირობა 2030 წლამდე მდგრადი განვითარების გაერო-ს დღის წესრიგის #16 მიზნის ამოცანების შესასრულებლად. უნდა ითქვას, რომ გაერო-ს 2017 წლის დოკუმენტში, რომელიც 2030 წლამდე მდგრადი განვითარების გაერო-ს დღის წესრიგის #16 მიზანს ეხება, ერთ-ერთი მიმართულება, მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების შექმნის მონიტორინგია.⁸ პრაქტიკულად, არსად არის აქცენტირებული კონფლიქტის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი მნიშვნელობა. ეს ღონისძიებები კი, ჩვენი აზრით, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მდგრადი განვითარების SDG#16 ამოცანების შესასრულებლად. ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის კვლევის თანახმად, სწორედ SDG#16 ახასიათებს ყველაზე ნაკლები ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის სისტემაში.⁹

საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დაწყებიდან, 2015 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მაკოორდინირებელ უწყებად განისაზღვრა. მიზნების შესრულების მონიტორინგისა და პროცესის ეფექტიანად კოორდინაციისთვის შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო და ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი: სოციალური ჩართულობის, ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული მმართველობისა და მდგრადი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფები. სამწუხაროდ, არცერთი თემატური სამუშაო ჯგუფი არ არის ორიენტირებული უშუალოდ კონფლიქტების პრევენციაზე და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არის ორი გაყინული კონფლიქტი, კონფლიქტოგენური სიტუაციები და კონფლიქტის განახლების პოტენციური საფრთხეები. უფრო მეტიც, სამოქალაქო სექტორის მონაცემებით, საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის წევრ უწყებებს არ აქვთ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების დადგენილი სტანდარტები. ეს კი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მათ შორის კონფლიქტების პრევენციისათვის.

ამას გარდა, საქართველო მიერთებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას, ასევე, რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ემსახურება კონფლიქტის პრევენციას. საქართველომ ორჯერ (2010 და 2013 წლებში), ცალმხრივად აიღო ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ.

⁸ https://www.undp.org/content/dam/norway/undp-ogc/documents/Monitoring%20to%20Implement%20SDG16_Pilot%20Initiative.pdf

⁹ https://idfi.ge/en/extent_of_sdgs_integration_in_national_public_policy_system_of_georgia

2010 წელს დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ - ჩართულობა თანამშრომლობის გზით.¹⁰

სწორედ ამ სტრატეგიის ფარგლებში და გამყოფი ხაზებით განცალკევებულ თემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობისათვის დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“¹¹ განხორციელება, ასევე ომით დაზარალებული გამყოფ ხაზს იქეთ მყოფი აფხაზი და ოსი მოსახლეობისათვის ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ჩვენ საგანგაებოდ გამოვყავით ეს ორი სფერო, სადაც გაზომვადი რაოდენობრივი და თვისებრივი შდეგები საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ მათ ეფექტიანობაზე კონფლიქტის პრევენციის კუთხით. უდავოა, რომ მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ ამ პროცესში. თუმცა, ძალიან ნაადრევი იქნებოდა გვესაუბრა მათზე, როგორც კონფლიქტის პრევენციის რამდენადმე ქმედით ინსტრუმენტზე.

სამწუხაროდ, ამ სტრატეგიის ტერმინთა ჩამონათვალში არ ფიგურირებს „კონფლიქტის პრევენცია“, „ადამიანის უსაფრთხოება“, „დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი“, „კონფლიქტის ყოვლისმომცველი გაანალიზება“ და ა.შ., რომლებიც წარმოადგენენ კონფლიქტის პრევენციის აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტებს.

ახლადშექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც ახალი კონსტიტუციის მიხედვით გამოვიდა პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან და გადავიდა პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში, ჯერჯერობით ისევ ფორმირების სტადიაშია და მას მოუწევს დაამტკიცოს საკუთარი ქმედითუნარიანობა, როგორც კონფლიქტების პრევენციის ქმედითმა სტრუქტურამ.

მისასალმებელია, რომ 2019 წლის ივლისში მიღებული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულებით¹² გამოკვეთილია, თუ კონკრეტულად რომელი სტრუქტურა ახორციელებს კონფლიქტების პრევენციის ანალიტიკურ უზრუნველყოფას. საბჭოს დებულებაში ვხვდებით ჩანაწერს, რომ „შიდა და გარე უსაფრთხოების დეპარტამენტი ახდენს არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ანალიზს“ და „საქართველოს პრემიერ მინისტრისათვის წარსადგენად ამზადებს წინანდადებებსა და რეკომენდაციებს ცალკეული შიდა და საგარეო პოლიტიკის, ასევე სოციალური, ეკონომიკური, ენერგეტიკული საფრთხეების პრევენციისა და მათზე რეაგირების კუთხით.“

მისასალმებელია, რომ 2019 წლის ნოემბერს, საბჭოს პირველივე სხდომაზე, ხაზგასმულ იქნა, რომ უსაფრთხოების მიმართულებით კოორდინირებული მუშაობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი. თუმცა, უცნობია, მოიცავს თუ არა ეს კოორდინაცია თანამშრომლობას სამოქალაქო სექტორის იმ ნაწილთან, რომელიც უსაფრთხოების, კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და ნდობის აღდგენის საკითხებზე მუშაობს და თუ მოიცავს რა შინაარსითა და ფორმით. თუ ეს გულისხმობს სამოქალაქო ჩართულობის ყველაზე დაბალ საფეხურს, რაც გამოიხატება სამოქალაქო სექტორის პერიოდულ ინფორმირებაში უსაფრთხოების საბჭოს საქმიანობაზე, მაშინ პროცესი წმინდა ფორმალური გამოდის, აქედან გამომდინარე შედეგებით.

მისასალმებელია, უსაფრთხოების საბჭოს თუნდაც ვერბალურ დონეზე გამოხატული მზადყოფნა, შექმნან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ახალი და სრულყოფილი კონცეფცია და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით მომუშავე სახელმწიფო უწყებებისთვის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა იქნება. კარგი იქნებოდა, რომ ამ

¹⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2251491?publication=0>

¹¹ <https://smr.gov.ge/ge/page/40/nabiji-uketesi-momavlisen>

¹² <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4617877?publication=0>

დოკუმენტის შექმნა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. ქვეყნის წინაშე არსებული შიდა თუ გარე გამოწვევების ფონზე ამ პროცესის გაჭიანურება უსაფრთხოებას არ წაადგებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გამოწვევებიც, რაც ახლადშექმნილი საბჭოს წინაშე დგას და რომლებზედაც ჯერ კიდევ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ადრეულ სტადიაზე მიუთითებდნენ სამოქალაქო ორგანიზაციები. ICCN-ის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა უსაფრთხოების საბჭოს შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურებს შორის ინფორმაციის გაცვლის რეჟიმი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს დარეგულირებული და მას ვალდებულების ხასიათი ჰქონდეს. ამჟამინდელი კანონით ეს არ არის ჯეროვნად გათვალისწინებული. ინფორმაციის გაცვლის ქმედითი და ეფექტიანი რეჟიმის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენციისათვის.

ამას გარდა, კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტების განხილვაში დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა უკეთესის სურვილს ტოვებს. ამის მაგალითია, თუნდაც 2019 წლის აპრილში, საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებული „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებით ინიცირებული კანონპროექტის განხილვისას, დაინტერესებულ ჯგუფებს და სამოქალაქო სექტორს არ არ მიეცათ ძირითადი საკითხების განხილვისა და დისკუსიის შესაძლებლობა კანონპროექტის ინიციატორი ორგანოსა და პარლამენტის წარმომადგენლებთან.

კანონში მკაფიოდ არ ჩანს, თუ როგორ და ვის მიერ მოხდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება/გაფორმება უსაფრთხოების საბჭოს საქმიანობის შედეგად გამოვლენილ კრიზისულ ვითარებებთან დაკავშირებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე კანონმდებლობაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარების ცნება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა თავად უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში სიტუაციის სწორი ანალიზისთვის და, შესაბამისად, კონფლიქტების ეფექტიანი პრევენციისათვის. კანონში არ არის მკაფიოდ გაწერილი უსაფრთხოების საბჭოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების/აღსრულების წესები, კონტროლის მექანიზმები და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოთა/პირთა ანგარიშვალდებულება, რაც კონფლიქტების პრევენციის ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.¹³

2019 წელს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა (ICCN) რომელიც კავკასიის რეგიონში წარმოადგენს შეირადებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის Global Partnership for the Prevention of Armed Conflict (GPPAC), კავკასიის რეგიონული ყოველწლიური პროგრამის ფარგლებში შეიმუშავა კონფლიქტების პრევენციის კითხვარი. ეს დოკუმენტი შემუშავდა ამ სფეროში საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი რეალობების სინთეზის საფუძველზე. კითხვარი (იხ. დანართი 1) და თანდართული განმარტებითი ბარათი დაეგზავნათ სამოქალაქო თანასწორობისა და შერიგების სახელმწიფო მინისტრის აპარატს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მთავრობის კანცელარიას,

¹³ <https://emc.org.ge/ka/products/emc-erovnuli-usaftrtkhoebis-sabchos-shesakheb-kanonshi-gankhortsiebul-tsvlilebebs-afasebs>.

თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს. შევსებული კითხვარი განმარტებებით გამოგზავნა მხოლოდ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ხოლო დანარჩენი უწყებები კი, მხოლოდ ფორმალური პასუხებით შემოიფარგლნენ (იხ. დანართი 2, 3, 4, 5, 6). ამ პასუხებიდან ჩანდა, რომ, მაგალითად, შსს თვლიდა, რომ მისი მუშაობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, კონფლიქტების პრევენციის ის საკითხები რაც ICCN-მა დააყენა, სცილდებოდა სამინისტროს კომპეტენციას. ხოლო სუს-ი თვლიდა, რომ ის არ წარმოადგენს კონფლიქტების პრევენციასა და შესაბამის საინიციატივო წინადადებების შემუშავებაზე პასუხისმგებელ უწყებას და ეს ფუნქცია სხვა სამინისტროებს (საგარეო საქმეთა და სახ.მინისტრის აპარატი) ეკისრებათ.

რთულია ცალსახა პასუხის გაცემა, თუ რამდენად კოორდინირებულად მუშაობენ ზემოთჩამოთვლილი სამინისტროები კონკრეტულ სიტუაციებში, როდესაც კონფლიქტის ზონაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოიშვება კონფლიქტოგენური სიტუაცია.. თუმცა, კონკრეტული შემთხვევები ცალსახად მიუთითებს, რომ სწორედ კონფლიქტის პრევენციის ინსტრუმენტების არარსებობა ან ნაკლებობა შეიძლება მივიჩნიოთ აშკარად კონფლიქტოგენური სიტუაციების შექმნის წყაროდ. მაგალითად, სოფელ წნელისთან ქართული პოლიციის საგულშაღოს შექმნის მიზანშეწონილობა რამდენად იყო განხილული თუნდაც სამოქალაქო თანასწორობისა და შერიგების მინისტრის აპარატსა და სხვა უწყებებთან, მოხდა თუ არა დაინტერესებულ მხარეთა პოზიციებისა და შესაძლო რეაგირების ანალიზი და ა.შ. პოლიციის დამატებითი საგულშაღოს განთავსების შედეგად, სიტუაცია ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ირგვლივ აშკარად უფრო დაძაბულია, ხოლო კონფლიქტოგენურობის ხარისხი - მომატებული. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტზე, რომელიც საკმაოდ მალე გადაიზარდა ძალადობრივში და აშკარად ჩანდა, რომ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის არ არსებობდა სათანადო კომუნიკაცია და კოორდინაცია, ხელისუფლების სტრუქტურები სპონტანურად ცდილობდნენ კონფლიქტის ჩაქრობას. ჩანდა, რომ არ იქნა გამოყენებული კონფლიქტის პრევენციის ინსტრუმენტები, როგორც არის კონფლიქტის ჩარჩო ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებისა და მოთხოვნების ანალიზი და სხვა დაკავშირებული ქმედებები. ეს ორი საკმაოდ მეტყველი მაგალითი მოწმობს ამ კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების შემუშავებისა და სახელმწიფო პოლიტიკაში მათი ინტეგრირების აუცილებლობას და საჭიროებას.

უწყებებიდან კითხვარზე პასუხების მიღების შემდეგ, 2019 წლის ივლისში, ICCN-მა მოაწყო „მრგვალი მაგიდის“ ტიპის შეხვედრა კონფლიქტის მოგვარებასა და პრევენციაში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურებისა, ამ სფეროში მომუშავე სამოქალაქო სექტორისა და ექსპერტების მონაწილეობით, სადაც მოხდა მოსაზრებათა გაცვლა და შეჯერება, თუ როგორ შეიძლება მოხდეს კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტების უკეთ ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკასა და იმ მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებსაც აღნიშნული უწყებები იყენებენ ყოველდღიურ მუშაობაში.

ამას გარდა, ICCN-მა შეიმუშავა კონფლიქტის ზონასთან და ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან განლაგებულ სოფლებსა და დასახლებებში ადამიანის უსაფრთხოების განახლებადი რუქა და ადამიანის უსაფრთხოების შკალის დადგენის კითხვარი (იხ. დანართი 7 და დანართი 8), რომელიც საშუალებას იძლევა, უფრო ზედმიწევნით და დროულად დავადგინოთ ამ კუთხით არსებული რეალური და პოტენციური გამოწვევები და უფრო მიზნობრივად დავგეგმოთ მათი დაძლევის ზომები.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ არსებული რთული ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო გამოწვევების მიუხედავად, 2009 წლიდან დღემდე საქართველომ შეძლო მასშტაბური სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება. ეს 10-წლიანი პერიოდი იყო არსებული კონფლიქტების გაუნახლებლობასთან და ახალი კონფლიქტის პრევენციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების, გამოცდილების დაგროვების, დანერგვის პერიოდი. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ამ პროცესს არ ახლდა კონფლიქტების პრევენციისათვის საჭირო ინსტრუმენტების შემუშავების სისტემური მიდგომა, რაც ნაწილობრივ დაადასტურა ოფიციალური უწყებებიდან მიღებულმა პასუხებმა. კონფლიქტების განახლების პოტენციური საფრთხეები კვლავ რჩება.

ამასთან დაკავშირებით კი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც გულისხმობს კონფლიქტის პრევენციის ინსტრუმენტების დანერგვას და ინტეგრაციას იმ სახელმწიფო სტრუქტურების სამოქმედო გეგმებსა და ყოველდღიურ საქმიანობაში, რომლებსაც შეხება აქვთ ამ საკითხთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნები გაწერილია შემდეგ დოკუმენტებში: საქართველოს პარლამენტის სტრატეგია „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში 2019-2030 წლებისთვის“ და „საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის“. აღნიშნული დოკუმენტები საქართველოს პარლამენტის ბიურომ 2019 წლის 12 ივნისს დაამტკიცა. „საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისთვის“ მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობითი და კანონშემოქმედებითი მექანიზმების გამოყენებით, ხელი შეეწყოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. 2019 წელს მდგრადი განვითარების მიზნების საკითხზე პასუხისმგებელ პარლამენტის წევრად იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი დავით მათიკაშვილი დაამტკიცა, რაც, გარკვეულწილად, გაადვილებს ამ თემაზე სამოქალაქო სექტორის კონტაქტს პარლამენტთან.

III. კონფლიქტის პრევენციის კუთხით არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის რეკომენდაციები

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევად რჩება არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და აკადემიური წრეების ფართო, რეალური და არა ფორმალური ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების, მათ შორის, #16 მიზნის შესრულებაში, განსაკუთრებით კი, მშვიდობიანი გარემოს უზრუნველყოფისა და კონფლიქტების პრევენციის კუთხით.

გამოწვევად რჩება ინფორმაციის ნაკლებობა ან არარსებობა, თუ კონფლიქტის ანალიზის და/ან კონფლიქტის პრევენციის რა ინსტრუმენტებს იყენებენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები. არსებობს თუ არა საერთოდ ასეთი ინსტრუმენტები? რამდენად ეფექტიანია ისინი და შეესაბამება საუკეთესო და გამოცდილ საერთაშორისო პრაქტიკებს? ხდება თუ არა მათი პერიოდული გადასინჯვა-განახლება.

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები ემსახურება კონფლიქტების პრევენციის ხელშეწყობას:

- კონფლიქტების პრევენცია მონაცემთა შეგროვებით იწყება. რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, რომელიც ICCN დაკვირვებებს ემთხვევა, მონაცემთა დიდი ნაწილი მხოლოდ ოფიციალური მონაცემებისგან შედგება. ის არ ითვალისწინებს, ან ნაკლებად ითვალისწინებს ისეთი ალტერნატიული მონაცემების წყაროებს, როგორც არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შედგენილი ანგარიშები, ინდექსები და შეფასებები. შესაბამისად, ხშირად ვერ ვღებულობთ სრულყოფილ სურათს კონფლიქტოგენურ სიტუაციაზე. პოტენციუ და არსებულ კონფლიქტთან მონაცემების შეგროვებისას ორიენტირი უნდა იყოს პრინციპი „არ ავნო,“ რადგანაც ამ პრინციპის იგნორირებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კონფლიქტის პრევენციას.
- ძალიან მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება დაეთმოს გენდერულად მგრძობიარე ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც გამოავლენდა პოტენციურ ან არსებულ კონფლიქტში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობის დონეს, მათ ხედვებს, საერთო და გასწავლებულ ინტერესებს, ასევე მათ როლსა და უნარებს კონფლიქტების პრევენციაში.
- ინფორმაციის შეგროვებისას არ უნდა იქნეს დავიწყებული ადგილობრივი პირობებისა და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება. (საქართველოსათვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი ეთნოკულტურული ლანდშაფტის გათვალისწინებით). ამას გარდა, მნიშვნელოვანია, თუ ვინ ახორციელებს მონაცემთა შეგროვებას, რასაც გავლენა აქვს საბოლოო პროდუქტის სანდოობასა და საიმედოობაზე. ინფორმაციის შეგროვებისას, შესაძლოა, კონკრეტულ საკითხზე გამოყენებული იქნას ჟურნალისტური რეპორტაჟები, მათ შორის საგამომიებო, ასევე ინტელექტუალური ცენტრების (think tank) ნაშრომები. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ინფორმაციით გადატვირთვა, თუ დიდი ოდენობის ინფორმაციის დამუშავების რესურსები არ არსებობს.
- სრულყოფილი, სანდო და ამომწურავი ინფორმაციის გარეშე ვერ მოხდება კონფლიქტის ეფექტიანი და სრულფასოვანი ანალიზი, რომელიც წარმოადგენს სამშვიდობო ძალისხმევის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ის წარმოადგენს დიალოგის საფუძველს დაინტერესებულ მხარეთა და კონფლიქტის მონაწილეთა შორის. ის არის ერთგვარი საწყის მონაცემთა ბაზა, რომლის განახლებით, ტენდენციებისა და ცვლილებების აღნიშვნით, შესაძლებელია მისი მონიტორინგი და შეფასებაც.
- გამომდინარე იქედან, რომ ICCN-სთვის არ იყო ხელმისაწვდომი ოფიციალურ სტრუქტურებში ჩატარებული კონფლიქტის ანალიზის დოკუმენტი და/ან ინფორმაცია, ტარდება თუ არა ასეთი ანალიზი, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ კონფლიქტის ანალიზი გამოცალკევებული იყოს კონტექსტური ანალიზისგან. კონფლიქტის ანალიზი ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთ საკითხებზე და სიტუაციის დინამიკაზე, (ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობა, სიღარიბე, უთანასწორობა, სოციალური მოწყვლადობის გამომწვევი ეკონომიკური ფაქტორები, სოციალური იზოლაცია და სხვა), რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუწყო კონფლიქტს, მათ შორის ძალადობრივს.
- ჩვენი რეკომენდაციაა, კონფლიქტის ანალიზის დროს სიტუაციის შესაძლო განვითარების ალტერნატიული სცენარების შედგენა, რომლებიც გვაჩვენებენ, თუ რეალურად რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს კონფლიქტი, ვის რა როლი აკისრია, რა ინტერესები გააჩნია და ა.შ. ეს ყოველივე გახდება ჩარევის მასშტაბისა და ტიპის დაგეგმვის საფუძველი.

- მნიშვნელოვანია, კონფლიქტის ან კრიზისის რა ფაზაში კეთდება მისი ანალიზი. კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში მოთხოვნილი ინფორმაციის სახეობები და კითხვები განსხვავდებიან. კონფლიქტების პრევენციისათვის ადრეული ჩარევა მოითხოვს პასუხებს კონფლიქტოგენური სიტუაციის სტრუქტურულ, კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და პოლიტიკურ შემადგენლებზე.
- დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი - უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კრიზისის, კონფლიქტის და/ან კონფლიქტოგენური სიტუაციის დროს. რა წყაროებიდან იღებენ ეს მხარეები ძალაუფლებას და გავლენას? რა რესურსები გააჩნიათ ან აკონტროლებენ? (ფინანსურს, მიწას, უძრავ ქონებას, წიაღისეულს, შრომის ბაზარს, მედიას, პოლიტიკური პარტიებს, თემის მოსახლეობას, პროფკავშირებს, ბიზნეს სტრუქტურებს, სამხედრო რესურსებს, აქვთ ფართო და ფესვგადგმული ნათესაურ-კლანური კავშირები, გავლენა რელიგიურ ლიდერებზე ან პიროვნული ქარიზმა). ზოგი დაინტერესებული მხარე ცდილობს, პოზიტიური დღის წესრიგით იმოქმედოს და აქვს ამის რესურსი, ზოგი, პირიქით, ნეგატიური დღის წესრიგით ცდილობს ფონს გავიდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, დადგინდეს მათი მზაობა მოლაპარაკებებისათვის და რა იქნება მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივა Best Alternative To A Negotiated Agreement” (BATNA).
- ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია სამშვიდობო და კონფლიქტების მოგვარებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ხარისხის ამაღლება კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაცია და რეგულარული ხასიათის მიცემა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა პროფილურმა კომიტეტებმა, რომლებიც პარლამენტის რეგლამენტის თანახმად ახდენენ თავიანთ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლს (მუხლი 38) და აწარმოებენ თემატურ მოკვლევებს (მუხლი 155), უზრუნველყონ ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რითაც ხელი შეეწყობოდა პარლამენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და მოძებნილი იქნებოდა პრობლემური საკითხების, მათ შორის კონფლიქტების პრევენციის ეფექტურად გადაჭრის გზები.
- უმოკლეს ვადებში, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, კონსულტირების დონეზე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ შეიქმნას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი. უახლოეს პერიოდში კანონმდებლობით და/ან ნორმატიული აქტებით მოწესრიგდეს და დაინერგოს უსაფრთხოების საბჭოში შემავალი სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ინფორმაციის გაცვლის რეჟიმი, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ამოქმედდეს უსაფრთხოების საბჭოს სრულფასოვანი ვებგვერდი.

დანართები

დანართი #1

კონფლიქტის ანალიზის და პრევენციის ინსტრუმენტების დიაგრამა

დაინტერესებული მხარეები/პირები და მათი ანალიზი	საქმეები/პრობლემები, რომლებზედაც მხარეებს/პირებს აქვთ პოზიცია და ინტერესი	მხარეთა გაცხადებული მოთხოვნები	მოთხოვნების დაკმაყოფილების სასურველი გზა, მოტივაციები ფარული ზრახვები, შიშები წუხილები	ადამიანური, ფიზიკური, სოციალური და სხვა მოთხოვნები მათი მიზეზები	ძალაუფლების და გავლენის წყაროები სხვებზე, ბერკეტები მოლაპარაკებებზე	მოლაპარაკებების და თანხმობის მიღწევის მზაობა, მოლაპარაკების ალტერნატივები, მოლაპარაკების სტატუსი

დანართი #2

პოლიტიკის ნარკვევი: „საქართველოში კონფლიქტების პრევენციის ინსტრუმენტებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ“ /ავტორი ანა დვალი/

დანართი # 3

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი ICCN მიმართვაზე

დანართი # 4

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი ICCN მიმართვაზე

დანართი # 5

საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი ICCN მიმართვაზე

დანართი #6

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი ICCN მიმართვაზე

დანართი #7

კონფლიქტის ზონებთან დასახლებებში ადამიანის უსაფრთხოების რუკის ნიმუში

პროექტი ხორციელდება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრისა და მისი პარტნიორის Global Partnership for the Prevention of Armed Conflict (GPPAC) მიერ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.